

საიდ. N 77319/03

IR 901864

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №88-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, ლ. ახოზაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ბიოგაია აბ“ (BioGaia AB) (მის: ბოქს 3242, SE-103 64 სტოკჰოლმი, შვედეთი; Box 3242, SE-103 64 Stockholm, Sweden) N88-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 მარტის N1046/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „BioGaia“ (საიდ. N77319/03, IR 901864) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ

და აღნიშნული ნიშნისთვის დაცვის მინიჭება საქართველოში ასევე, მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 მარტის N1046/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სერეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „BioGaia“ მსგავსია შპს „უნიმედ გრუპ კორპ“-ის (მის: ად. მიცკევიჩის ქ. 29, ბინა 61, თბილისი, საქართველო) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლის მიმართ რეგისტრირებული ნიშნისა „ბიოგაია BioGaia БиоГаia“ (რეგისტრაციის N25085; რეგისტრაციის თარიღი 2014-07-28). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია მხოლოდ ლათინური ანბანით, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ქართული და ლათინური ანბანით, ასევე კირილიცაზე. მიუხედავად აღნიშნული განსხვავებისა, ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. ამასთან, ანბანთა შორის სხვაობა არ ანიჭებს ნიშნებს სათანადო განმასხვავებლობას, ვინაიდან ორივე მათგანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ბიოგაია“ - „ბიოგაია“. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში, კერძოდ მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ბიოგაია აბ“ (BioGaia AB) არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, არ არსებობს განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ფონეტიკური და გრაფიკული თვალსაზრისით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ლათინური ანბნით შესრულებულ 7 ასოსგან შემდგარ აღნიშვნას, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს ქართული და ლათინური ანბანით, ასევე კირილიცაზე შესრულებულ აღნიშვნას „ბიოგაია BioGaia БиоГаия“, რომელიც მასში შემავალი ასოების რაოდენობიდან გამომდინარე, 3-ჯერ უფრო გრძელია, ვიდრე განცხადებული ნიშანი. შესაბამისად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები გრაფიკულად სრულიად განსხვავებულია და გამორიცხულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა მწარმოებლის მიმართ.

აპელანტის აზრით, ნიშნები განსხვავდებიან ფონეტიკური თვალსაზრისით, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ბიოგაია“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ბიოგაიაბიოგაიაბიოგაია“. შესაბამისად, ნიშნები განსხვავდებიან ჟღერადობით, რაც გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას მწარმოებელი კომპანიის მიმართ.

აპელანტის განმარტებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმსახურებს ის ფაქტი, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „ბიოგაია აბ“ (BioGaia AB) წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილ უმსხვილეს კომპანიას, რომელიც ძირითადად დაკავებულია პრობიოტიკების წარმოებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და

მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 მარტის N1046/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „BioGaia“ (საიდ. N77319/03, IR 901864) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭება, ასევე მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №88-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „BioGaia“ (საიდ. N77319/03, IR 901864) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ბიოგაია BioGaia БиоГая“ (რეგ. N25085) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან ორივე ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური

ასოებით, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სამ ენაზე ლათინურად ქართულად და რუსულად. დაპირისპირებული ნიშანი მთლიანად მოიცავს განცხადებულ ნიშანს, შესაბამისად დაპირისპირებული ნიშნის ორი სხვადასხვა ენაზე შესრულებული სიტყვიერი აღნიშვნა არ სძენს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას.

დაპირისპირებული ნიშნები ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის იდენტურად - „ბიოგაია“.

მსგავსია, ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ბიოგაია აბ“ (BioGaia AB) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №88-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 მარტის N1046/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ს. მუჯირი

წევრები:

თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე